ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ს და ს №90-17

ქ. თბილისი 2 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, „ნოტარიუსი ნინო ხოფერია“ (შემდგომში - მიმწოდებელი), მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 15 ივლისის №57 ბრძანების საფუძველზე, და მეორე მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე თევდორაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-9 მუხლის, შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – იურიდიული სამსახურის უფროსის და განსახლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 01 ნოემბრის №9874-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანოტარო მომსახურება (შემდგომში - მომსახურება) – აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული ქონების საკომპენსაციო თანხის დეპოზიტზე მიღება (CPV79100000), რაც მოიცავს დეპონირების ოქმის გაფორმებას, კრედიტორის ინფორმირებას, აგრეთვე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს, რომელთა ჩამონათვალი/საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 განკარგულებით. დეპოზიტზე განთავსებული თანხა წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სადეპოზიტო ანგარიშზე განსათავსებელ თანხას კრედიტორის – ლეილა გოგვაძის (პ/ნ 61001032287) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.34.23.497) მთლიანი ფართობის (686 კვ.მ) ნაწილის - 150 კვ.მ-ის და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობის (მავრთულბადის ღობე), მთლიანი საკომპენსაციო თანხა - 22 364 (ოცდაორი ათას სამას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

1.2 ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშის რეკვიზიტებია: სს „ტერა ბანკი“, ბანკის კოდი:TEBAGE22; ა/ნ: GE02KS0000000018131342.

მუხლი 2. მომსახურების საფასურის განსაზღვრა და ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების საფასური განისაზღვრება „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების შესაბამისად,

2.2. ხელშეკრულების საორენტაციო ღირებულება შეადგენს – არაუმეტეს 100 (ასი) ლარს.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევა ხარისხიანად.

3.1.2 ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი და მომსახურების მიმდინარეობის პროცესი.

3.1.3 განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირება, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსის ან/და უფროსის მოადგილის მიერ.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.3.1 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება საკუთარი ძალებითა და რესურსებით, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.3.2 გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, დროულად, შემსყიდველის მოთხოვნებისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.3.3 მიიღოს ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომა მომსახურების ამ ხელშეკრულების, მოქმედი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად გასაწევად.

3.3.4 შემსყიდველის მოთხოვნის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ გაუწიოს მომსახურება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში.

მუხლი 4. მომსახურების ვადები და გადახდის პროცედურა

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა;

4.2 მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისი ინვოისი.

4.3 ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ლარში, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ანგარიშსწორება არ ჩაითვლება დაგვიანებულად და შესაბამისად არ გამოიწვევს რაიმე სახის საურავის დარიცხვას ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვადაგადაცილება არ აღემატება 10 (ათი) სამუშაო დღეს ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დღიდან.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება არ განხორციელდა სათანადოდ და სრულად, აგრეთვე თუ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შემსყიდველი უარს განაცხადებს ამ ხელშეკრულების საგანზე ნაწილობრივ, ამ ხელშეკრულების ღირებულება შემცირდება შესაბამისი ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული ფასი უკვე გადახდილია, მიმწოდებელმა უნდა დაუბრუნოს იგი შემსყიდველს, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. ფორს–მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, რომელიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ და რომელთა წინასწარ გათვალისწინება და აღკვეთა შეუძლებელი იყო მხარეთა მიერ. ასეთი გარემოებებია მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, მთავრობის აქტები, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას ამ ხელშეკრულების შესრულებაზე და სხვა., რომელიც შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 6. კონფიდენციალური ინფორმაცია

6.1 შემსყიდველის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გამჟღავნებულ იქნა ამ ხელშეკრულების საფუძველზე ან მისი მოქმედების განმავლობაში ან მომსახურების გაწევისას ამ ხელშეკრულების თანახმად, ჩაითვლება კონფიდენციალურად (შემდგომში მოხსენიებული, როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია). კონფიდენციალური ინფორმაცია არის შემსყიდველის საკუთრება და დაუშვებელია რაიმე უფლებისა თუ უფლებამოსილების გადაცემა რომელიმე მესამე მხარისათვის.

6.2 მიმწოდებელმა უნდა დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, არ გადაიღოს ასლი და არ გაამჟღავნოს სხვა რომელიმე გზით, აგრეთვე მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად, რომელიც მიწოდებულ ან გამჟღავნებულ იქნა მიმწოდებელისთვის ამ ხელშეკრულების მოქმედების დროს.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ან სხვაგვარად არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე მხარეებს შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემსყიდველს ამის შესახებ და მიიღოს ყველა სათანადო ზომა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვისთვის, იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის თანახმად მიმწოდებელი ვალდებულია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

მიმწოდებელი სრულად აგებს პასუხს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევის პროცესში შემსყიდველისათვის მიყენებულ ზიანზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ფლობენ კანონმდებლობით მოთხოვნილ ყველა დოკუმენტს რაც აუცილებელია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად და არიან სათანადოდ უფლებამოსილნი გააფორმონ ეს ხელშეკრულება და შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8.2 მიმწოდებელი გარანტიას იძლევა, რომ ფლობს საკმარის რესურსებს და ჰყავს კვალიფიციური პერსონალი ამ ხელშეკრულების შესასრულებლად და განახორციელებს მომსახურებას შეთანხმებულ ვადებში.

8.3 მიმწოდებელი პირადად და საკუთარი ხარჯებით მოიპოვებს ყველა ნებართვას, გააფორმებს შეთანხმებას და მიიღებს თანხმობას შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო თუ მუნიციპალიტეტი ან სხვა ორგანოებისგან, რაც აუცილებელია მომსახურების გასაწევად, თუ კანონმდებლობის თანახმად ასეთი მოითხოვება შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად.

8.4 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს ელ. ფოსტის, ფაქსის ან წერილის სახით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე.

8.5 თითოეული მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მონაცემების, რეკვიზიტების, მისამართის ცვლილების შესახებ მათი განხორციელებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მეორე მხარის მიერ შესრულებული ყველა მოქმედება ჩაითვლება სათანადოდ განხორციელებულად.

8.6 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა შეთანხმდეს მხარეთა მიერ და გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით წერილობითი ფორმით.

8.7 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და ძალაშია 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია ამ ხელშეკრულების საფუძველზე ახალი დანართ(ებ)ის გაფორმება. ხელშეკრულების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8.8 ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ მოახდენს გავლენას ხელშეკრულების სხვა დებულებების/პირობების მოქმედებაზე.

8.9 ეს ხელშეკრულება შედგენილია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ დავის მოგვარებას მოლაპარაკებების გზით, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

8.10 ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ორიგინალ ეგზემპლარად, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების 1 (ერთი) ორიგინალი.

მუხლი 9 .მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.№12,
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982
სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22
ანგარიშის №:200 122 900

ხელმოწერა ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი:
ნინო ხოფერია
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28/2
საიდენტიფიკაციო კოდი: 01008006210
ბანკი: სს „ტერა ბანკი“
ბანკის კოდი: TEBAGE22 ა/ნ: GE26KS0000000002161342

ხელმოწერა ნინო ხოფერია